თვითშეფასების, კონტროლის ლოკუსისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების სირთულეები როგორც ცხოვრებით კმაყოფილების პრედიქტორები

თაია გოგლიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

თაია გოგლიძე

5 ივნისი, 2025

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რა ხარისხით ახდენენ თვითშეფასება, კონტროლის ლოკუსი და ინტერპერსონალური ურთიერთობების სირთულეები ცხოვრებით კმაყოფილების პროგნოზირებას, დემოგრაფიული ცვლადების (ასაკი, სქესი და დასაქმების სტატუსი) გათვალისწინებით. 100-მა მონაწილემ შეავსო სტანდარტიზებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა როზენბერგის თვითშეფასების სკალას, როტერის კონტროლის ლოკუსის სკალს, FIAT-ის შემოკლებულ ვერსიას და ცხოვრებით კმაყოფილების სკალას. წინასწარმეტყველების ხარისხის შესაფასებლად ჩატარდა იერარქიული მრავლობითი რეგრესიული ანალიზი. თავდაპირველ ვერსიაში აღმოჩნდა მნიშვნელოვნად გამოხატული მულტიკოლინეარობა თვითშეფასებასა და სხვა ცვლადებს შორის, რის გამოც საბოლოო მოდელიდან თვითშეფასება ამოღებული იქნა. აღნიშნულ რეგრესიაში ცხოვრებით კმაყოფილების მნიშვნელოვანი პრედიქტორები აღმოჩნდა როგორც კონტროლის ლოკუსი ($\beta = -.23$, $p = .019$), ასევე ინტერპერსონალური ურთიერთობების სირთულეების ხარისხი ($\beta = -.56$, $p < .001$). საბოლოო მოდელმა ახსნა ცხოვრების კმაყოფილების ვარიაბელობის 60% ($R^2 = .60$, $F(5, 94) = 28.27$, $p < .001$). მიღებული შედეგები აჩვენებს გარემო მოვლენებზე კონტროლის რწმენის როლს სუბიექტური კეთილდღეობის ფორმირებაში. აღსანიშნავია, რომ ინტერპერსონალურ ურთიერთობებში არსებული სირთულეები ცხოვრებით კმაყოფილების მნიშვნელოვან უარყოფით პრედიქტორ ფაქტორად გამოვლინდა. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს იმ კრიტიკულ როლს, რომელსაც ინტერპერსონალური ფუნქციონირება ასრულებს კეთილდღეობაში და მიუთითებს ფსიქოლოგიური ჩარევების საჭიროებაზე, რომლებიც პიროვნულ შეხედულებებთან და თვითაღქმასთან ერთად ინტერპერსონალურ უნარებზეც იქნება ორიენტირებული. განხილულია შედეგების გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა ფსიქოლოგიური ჩარევებისა და მომავალი კვლევებისთვის.

Abstract

This study aimed to examine the extent to which self-esteem, locus of control, and the difficulties in interpersonal relationships predict general life satisfaction, while accounting for demographic factors such as age, sex, and employment status. A total of 100 participants completed a set of standardized questionnaires, including Rosenberg's Self-Esteem Scale, Rotter's Locus of Control Scale, the short FIAT (Functional Interpersonal Assessment Test), and the Satisfaction with Life Scale. Hierarchical multiple regression analysis was conducted to assess the predictive power of psychological variables beyond demographic controls. Initial results showed significant multicollinearity between self-esteem and other predictors. After excluding self-esteem from the final model to address this issue, locus of control ($\beta = -.23$, $p = .019$) and difficulties in interpersonal relationships ($\beta = -.56$, $p < .001$) emerged as significant predictors of life satisfaction. Demographic variables were not statistically significant predictors. The final model accounted for 60% of the variance in life satisfaction ($R^2 = .60$, $F(5, 94) = 28.27$, $p < .001$). Notably, difficulties in interpersonal relationships emerged as a significant negative predictor of life satisfaction. The findings highlight the critical role that relational functioning plays in well-being and suggest the need for psychological interventions that target interpersonal skills alongside personal beliefs and self-perception. These findings highlight the important role of perceived interpersonal effectiveness and perceived control over life events in shaping subjective well-being. Implications for psychological interventions and future research are discussed.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ კვლევითი ნაშრომის წარმატებით შესრულებაში.

უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, პროფესორ ნინო ჯავახიშვილს, რომლის ღირებულმა რეკომენდაციებმა არსებითი როლი შეასრულა ნაშრომის კონცეპტუალურ და პრაქტიკულ მხარეებზე მუშაობისას და რომლის რჩევებიც ყოველ ეტაპზე მაძლევდა სწორ მიმართულებას.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი კვლევის მონაწილეებს. მათ მიერ დათმობილი დრო, გულწრფელობა, გამოხატული ინტერესი და ჩართულობა გახდა საფუძველი ამ კვლევის განხორციელებისა.

გულითად მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს, რომლის უპირობო მხარდაჭერამ და მოთმინებამ ამ პროცესში უამრავი სირთულე დამაძლევინა.

მადლობას ვუხდი ჩემს კურსელებს, რომელთაც ასევე გამიზიარეს თავიანთი მოსაზრებები და რჩევები. მათთან ურთიერთობა ამ პროცესს ბევრად გააზრებულსა და სასიამოვნოს ხდიდა.

და ბოლოს მადლობას ვუხდი ყველა ავტორს, მეცნიერსა და მკვლევარს, რომელთა ღვაწლი ფსიქოლოგიაში ჩემთვის შთაგონება გახდა და რომელთა ნაშრომებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ჩემი კვლევის თეორიეული საფუძველი.

ეს ნაშრომი მრავალ ადამიანთან ერთად შექმნილი მუხტის შედეგია, გმადლობთ ყველას.